დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 230

27 მარტი 2015 წელი

ქ. დუშეთი

**ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. თანდილაანთკარში წვიმების შედეგად ჩამოტანილი ქვაღორღისაგან ხევის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო სადიზელო საწვავის შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ**

2015 წლის მაისის თვეში სოფელ თანდილაანთკარში წვიმების შედეგად ჩამოტანილი ქვაღორღისაგან ხევის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭიროა სადიზელო საწვავის შეძენა.

ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში, გამგებლის წარმომადგენლის მიერ მიწოდებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ შესწავლილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. თანდილაანთკარში წვიმების შედეგად ჩამოტანილი ქვაღორღისაგან ხევის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოების საკითხი და წარმოდგენილია შესაბამისი განგარიშება - სამუშაოებისათვის საჭირო საწვავის გათვლა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში წვიმების შედეგად ჩამოტანილი ქვაღორღისაგან ხევის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 70 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად, დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 115,50 ლარი.
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილებამ უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;
3. შესყიდული საწვავის მიღება და განაწილება უზრუნველყოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის სამეურნეო ტექნიკურმა განყოფილებამ (გია ჭონქაძე);

საქართველო, 1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27
27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA
+995(346)221989
+995(346)221990
WWW.DUSHETI.ORG.GE
GAMGEOBA@GMAIL.COM

4. საწვავის მიზნობრივ ხარჯვაზე და დოკუმენტაციის წარმოდგენაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს ანანურის ადმინისტრაციული ერთეულში გენადი გულბათაშვილს;
5. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა 2,3,4 პუნქტებით განსაზღვრული პირებისათვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი: /ვ.ჩოხელი/